საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N 18/01
2010 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55[1] მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების თანდართული წესი (დანართი N1).
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქადაგიძე

დანართი N1

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი მიზანად ისახავს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხების დადგენას.
2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ეროვნული ბანკი) უფლებამოსილია სანქციის სახით გამოიყენოს ფულადი ჯარიმები ამ წესით დადგენილი პირობებით.
3. ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი დარღვევის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების

შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.

4. ფულადი ჯარიმების დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი შესაბამისი პირისათვის გაცნობის მომენტიდან. ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას.

5. ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, ფულადი ჯარიმის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. ამ წესის შესაბამისად სანქციის სახით გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხები მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 2. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის სანქციის ოდენობა

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, პირი შეიძლება დაჯარიმდეს:

ა) 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობისათვის;

ბ) ამოღებულია *(7.02.20112 N 32/04)*

გ) 300 (სამასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისათვის, იდენტიფიკაციის დადგენილი წესის დაუცველად პირისათვის გარიგების (ოპერაციის) განხორციელების ფაქტის გამოვლენისთვის;

დ) 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისათვის, შემოწმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცველად დაგვიანებით წარდგენისათვის;

ე) 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემოწმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენისათვის;

ვ) 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტისათვის, შემოწმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის გამოვლენისათვის დარღვევის თითოეული ფაქტისთვის;

ზ) 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემოწმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენისათვის;

თ) 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემოწმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციაზე მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენისთვის;

ი) 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემოწმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენისთვის;

კ) 300 (სამასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტისათვის, მონიტორიგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისთვის;

ლ) 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გარიგებების (ოპერაციების) სპეციალური პროგრამული საშუალებით აღურიცხაობისთვის.

მ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, საბროკერო კომპანია ან მათი მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების დაცვას დაჯარიმდება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. *(7.02.20112 N 32/04)*

მუხლი 3. ფულადი ჯარიმისაგან გათავისუფლება

1. ეროვნული ბანკი, ფასიანი ქაღალდის რეგისტრატორს ან საბროკერო კომპანიას ათავისუფლებს უკვე დაკისრებული და არგადახდილი ფულადი ჯარიმისაგან, ასევე ახალი ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და გადახდისაგან, თუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ან საბროკერო კომპანიას გაუუქმდა შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკს შეუძლია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან საბროკერო კომპანია გაათავისუფლოს ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და გადახდისაგან, თუ ფულადი ჯარიმის გადახდის შედეგად შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მის მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას.

3. ამ წესის შესაბამისად ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.